პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი. № 109 (12925) | სამშაბათი, 12 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და გამალ აბდელ ნასერის საუბარი

კაირო, 11 მაისი. (საკდესი). 11 მაისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის საუბარი. მათ განიხილეს აზრთა გულახდილი გაზიარება ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

შეხვედრამ გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა მარშალმა აბდელ ჰაქიმ ამერმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და **არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი** უპასუხებენ **ალექსანდრიის მცხოვრებთა მისალმებაზე.**

ფოტო იუპი-საკდესისა (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

გულითადი შეხვედრები

9 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს. ნ. ს. ხრუშჩოვსა და გ. ა. ნასერს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

იმავე დღეს გამალ აბდელ ნასერმა აბდინის სასახლეში ნ. ს. ხრუშჩოვს საზეიმო ვითარებაში გადასცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის უმაღლესი ორდენი „ნილოსის მარგალიტი“.

ორდენის გადაცემისას პრეზიდენტმა ნასერმა თქვა, რომ სთხოვს ნ. ს. ხრუშჩოვს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეს უმაღლესი ორდენი მიიღოს როგორც იმის გამოხატულება, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა მაღალ შეფასებას აძლევენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოღვაწეობას მშვიდობის საკეთილდღეოდ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მიიღოს როგორც სიმბოლო იმ მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც დამყარებულია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის.

საპატიო ჯილდოს მიღებისას ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

გმადლობთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, პრეზიდენტო გამალ აბდელ ნასერ, იმ დიდი პატივისათვის, რომელიც მე დამდეთ და დამჯილდოვეთ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის უმაღლესი ორდენით — „ნილოსის მარგალიტით“. ამ ჯილდოთი თქვენ პატივს სცემთ საბჭოთა ხალხს, ჩვენს მთავრობას. ეს ჯილდო ჩვენ მიგვაჩნია თქვენი ქვეყნის ხალხის ძმური გრძნობის გამოხატულებად საბჭოთა კავშირისადმი.

მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ იმას, რომ განმტკიცდეს მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

ერთხელ კიდევ გულითად მადლობას გიხდით ამ დიდი პატივისათვის, ამ მაღალი ჯილდოსათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი მაგრად ართმევს ხელს პრეზიდენტ ნასერს.

ნ. ს. ხრუშჩოვი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

— სამარადისო იყოს მეგობრობა ჩვენს ქვეყნებს შორის! — ამბობს პრეზიდენტი.

— სამარადისო მეგობრობა! — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი.

ორდენის გადაცემის ცერემონიას არაბეთის მხრივ ესწრებოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები, საბჭოთა კავშირის მხრივ ის პირები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ორდენის გადაცემასა და გ. ა. ნასერისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს.

საღამოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად სადილი გამართა აბდინის სასახლეში.

კაირო, 10 მაისი. (საკდესი). დღეს შუადღემდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ კაიროს ეროვნულ მუზეუმსა და ისლამური ხელოვნების მუზეუმში.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მუზეუმში იყვნენ პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი ა. ჰ. ამერი და პრემიერ-მინისტრის მოადგილე კულტურის, ინფორმაციისა და ეროვნული ხელმძღვანელობის საკითხებში მ. ა. ჰატემი.

ეროვნულ მუზეუმში სტუმრები გაეცნენ ეგვიპტის ძველი კულტურის ძეგლებს.

ახსნა-განმარტებას იძლეოდა კულტურის სამინისტროს სიძველეთა დეპარტამენტის დირექტორი დოქტორი ანვარ შუქრი.

მუზეუმის ექსპონატების დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრეზიდენტმა ნასერმა ხელი მოაწერეს საპატიო სტუმართა წიგნში.

გამოთხოვებისას ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ. აქ ბევრი რამ ძალიან საინტერესოა, ვწუხვართ, რომ ცოტა დრო გვქონდა და უფრო დაწვრილებით ვერ გავეცანით აქ წარმოდგენილ ეგვიპტის ძველი კულტურის ძეგლებს. აქ ძალიან საინტერესო იყო. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას“.

ისლამური ხელოვნების მუზეუმში სტუმრები გაეცნენ მუსულმანური კულტურისა და ხელოვნების ნიმუშებს. ახსნა-განმარტებას იძლეოდა მუზეუმის დირექტორი დოქტორი მაჰრისი.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრეზიდენტმა ნასერმა ხელი მოაწერეს საპატიო სტუმართა წიგნში. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა ახსნა-განმარტებისათვის და თქვა: „აქ არის დიდი კულტურული განძი“.

კაირო, 11 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს კაიროს სტადიონზე დაიწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდი სპორტული დღესასწაული. დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პრეზიდენტ ნასერსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლებიც სტადიონზე მოვიდნენ. გამალ აბდელ ნასერმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს. შემდეგ გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების მასობრივი სპორტული ზეიმი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სხდომა

კაირო, 11 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები **ფ. ნოსოვი** და **ვ. დუგანოვი** იუწყებიან:

დღეს გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სპეციალური სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

სხდომას ესწრებიან ვიცე-პრეზიდენტები: მარშალი **ამერი, ზაკარია მოჰი ედ-დინი, ჰუსეინ შაფი, ჰასან იბრაჰიმი,** არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ **ალი საბრის** მეთაურობით, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ეგვიპტისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, ბევრი სტუმარი.

ტაშმა იგრიალა, როცა პრეზიდიუმში შემოვიდნენ **ნ. ს. ხრუშჩოვი,** პრეზიდენტი **ნასერი** და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე **ანვარ სადათი.** დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და დიდ ხანს მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ნასერს.

მისასალმებელ სიტყვას ამბობს ეროვნული კრების თავმჯდომარე **ანვარ სადათი.**

ეს შეხვედრა, თქვა მან, განსაკუთრებით გვახარებს, რადგან ეს არის შეხვედრა ჩვენს ერთგულ მეგობართან, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწესთან და თავისი ხალხის ბედნიერებისა და თავისი ქვეყნის აყვავებისათვის ყველაზე თანმიმდევრულ მებრძოლთან, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ყველაზე მტკიცე მებრძოლთან, ჩვენი ძვირფასი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელთან, სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრ ნ. ს. ხრუშჩოვთან. ამ კრების სახელით, რომელიც ხალხის წარმომადგენელია, მივესალმები ძვირფას სტუმარს ჩვენს ქვეყანაში. მოგესალმებით თქვენ და სსრ კავშირს ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის მშვიდობისა და აყვავებისათვის, თქვა მან.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის პრეზიდენტი **ნასერი.**

დღეს, თქვა მან, ჩვენთან სტუმრად იმყოფება ჩვენი სამშობლოსა და მთელი არაბი ერის ძვირფასი მეგობარი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ის უკვე ორი დღის განმავლობაში, რომლებიც ნიკიტა ხრუშჩოვმა გაატარა ჩვენს ქვეყანაში, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი მას ხვდება ისე, როგორც ნამდვილ მეგობრს ხვდებიან. იგი თქვენთან მოვიდა აქ, რათა თქვენი სახით შეხვდეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თმელ ხალხს და მიესალმის ჩვენი ქვეყნის შრომეულს ამ დარბაზში, ამ ტრიბუნიდან, რომელიც სიმბოლოა ეგვიპტელი ხალხის რევოლუციური ნებისა.

სტუმარი, რომელიც ახლა აქ არის ჩვენთან ერთად, თქვა ნასერმა, ერთ-ერთი ხელმძღვანელია დიდი რევოლუციისა, რომელმაც კოლსალური ცვლილებანი გამოიწვია მსოფლიოს უკლებლივ ყველა რაიონში, მათ შორის ევროპასა და აზიაში. მან ფეოდალიზმისა და ექსპლოატაციისაგან, იმპერიალიზმის ბატონობისაგან გაათავისუფლა ასეული მილიონობით ადამიანი, გაუკეთა მათ გზა ატომისა და კოსმოსის საუკუნეში ადამიანის საკეთილდღეოდ.

პრეზიდენტ ნასერის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

პრეზიდენტი ნასერი მიდის ნ. ს. ხრუშჩოვთან და მაგრად ართმევს ხელს.

ვრცელ და მკაფიო სიტყვას ამბობს **ნ. ს. ხრუშჩოვი,** რომელსაც მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დიდ სიამოვნებას მგვრის, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ძეგესალმოთ თქვენ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელოვანი ხალხის წარმომადგენლებს, და წარმატებანი გისურვოთ თქვენს საქმიანობაში.

თხოვნა გამოესულიყავით აქ თქვენს წინაშე მიგვაჩნია როგორც გამოხატულება პატივისცემისა ჩვენი ქვეყნისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიაღწია დიდ პროგრესს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების სულ უფრო მზარდი მეგობრობის კიდევ ერთ გამოვლინებად.

თქვენს ქვეყანაში პირველი ნაბიჯიდანვე ვგრძნობთ ძმურ. მეგობრობასა და სტუმარმოყვარეობას, ვხედავთ დიდ ცვლილებებს თქვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

თქვენი ხალხი, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, მთელ მსოფლიოს უჩვენებს თავის სიმამაცეს, ურყევ ნებისყოფას, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმისადმი ერთგულებას.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის გაკვეთილი, რომელიც ეგვიპტელმა ხალხმა მისცა იმპერიალისტებს 1956 წელს, როცა მან მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებზე დაყრდნობით საკადრისი პასუხი გასცა ინგლისელ, ფრანგ და ისრაელ დამპყრობლებს. კოლონიზატორები ლამობდნენ ძველი წესები დაბრუნებინათ ეგვიპტეში. თქვენ კარგად იცით, რომ მაშინაც საბჭოთა კავშირის ხალხი თქვენთან ერთად იყო, და იგი კვლავ განამტკიცებს და აკეთილშობილებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

თქვენ გამოაცხადეთ, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ თქვენი ქვეყანა იქნის სოციალიზმის მშენებლობის გზით. საბჭოთა ადამიანებს ახარებთ ეს. ჩვენ, კომუნისტებს კარგად გვესმის სახელმწიფოთა და ხალხთა მისწრაფება იაროს წინ განვითარების სოციალისტური გზით.

ჩვენი ქვეყნის საკუთარი გამოცდილებით შემძლია გითხრათ, რომ სოციალიზმის მშენებლობა იწვევს მთელი მატერიალური რეზერვების უკეთ გამოყენებას თვით ხალხის სასარგებლოდ, ათავისუფლებს ადამიანს მეორე ადამიანის მიერ ექსპლოატაციისაგან, ქმნის ეკონომიკის, კულტურის აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უკეთეს შესაძლებლობებს.

მოიყვანა რა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით განვითარების დამადასტურებელი ფაქტები, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საგულისხმო ფაქტებია. ეს ფაქტები, თქვა მან, იმიტომ მომყავს, რომ ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებას ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ არაბთა სოციალისტური ეროვნული პროგრამა და მიზნები თქვენს ქვეყანას უსახავს შემდგომი წარმატებითი წინსვლის პერსპექტივებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგ ილაპარაკა საბჭოთა ხალხის წარმატებებზე სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილ წლებში, თქვა მან, ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოება 50-ჯერ და მეტად გაიზარდა. ჩვენ სამუდამოდ მოვუღეთ ბოლო ეკონომიურ ჩამორჩენილობას, შევქმენით მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია. წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი ახლა ანგარიშობს მსოფლიოს მეორე ინდუსტრიული სახელმწიფო. ახლა იერიშობ მიგვაქვს ცაზე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პირველმა გავხარეთ კოსმოსური ფრენა.

ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი სწრაფი აღმავლობის კიდევ უფრო გრანდიოზულ პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა ხალხს ჩვენი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები, კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო. ეს არის ჩვენს ქვეყანაში ახალ გარდაქმნათა მძლავრი ბერკეტი, რომლებიც ხმარდება მისი ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

როცა პოლიტიკურ თავისუფლებას აღწევენ, განაცხადა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნები ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად მოუღონ ბოლო წყეულ წარსულს ეკონომიკის დარგში, განავითარონ თავიანთი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეაჭრობა.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები უშუალოდ არიან დაინტერესებული იმით, რომ განმტკიცდეს ანტიიმპერიალისტური ძალები და შესუსტდეს იმპერიალიზმის პოზიცია. მათ უპირველეს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიიჩნიეთ ის, რომ იხრუნონ თავიანთი ეკონომიკის განუხრელი აღმავლობისათვის და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლონიური მონობისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა მხარს უჭერს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

თანამედროვე პირობებში ჩვენი ეპოქის ძმლავრი ძალები — სოციალიზმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ერთდება მძლავრ ნაკადად, რომელიც არყევს მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს. სულ უფრო მტკიცედ, დაკინებით დგება დღის წესრიგში დამოუკიდებელი ქვეყნების განვითარების არაკაპიტალისტური გზის საკითხი, რომლებმაც დამსხვრიეს იმპერიალისტური ჩაგვრის ბორკილი.

ახლა, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, კოლონიზატორები ზედიზედ განიცდიან მარცხს. 50-ზე მეტი ქვეყნის ხალხებმა მოიგერეს ეროვნული დამოუკიდებლობა. მართალია, ჯერ კიდევ როდია მოსპობილი კოლონიალიზმის ყველა საყრდენი. ასეთი საყრდენები აფრიკაშიც არის, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როცა აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში არც ერთი კოლონია აღარ იქნება! სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საერთაშორისო მუშათა კლასის ძლიერება — აი რა განსაზღვრავს კოლონიალიზმის გარდუვალ სრულ დაღუპვას, თავისუფლებისა და პროგრესის ძალთა გამარჯვებას.

საბჭოთა მთავრობას, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლა მიაჩნია თავისი საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ცენტრალურ ამოცანად. და ეს სავსებით ბუნებრივია ქვეყნებისათვის, რომელთა ხალხები გატაცებული არიან მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით.

ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ იმით, რომ ბევრ საერთაშორისო საკითხში საბჭოთა მთავრობისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ყოველთვის დიდი გაგებით ეკიდებოდა და ეკიდება არაბული ქვეყნების ერთობის იდეას, რომელსაც საფუძვლად უდევს სუვერენულ უფლებათა ერთად დაცვის, არაბულ აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვისა და ყველა არაბი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პრინციპები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ აფრიკის ხალხთა ერობის იდეას იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განთავისუფლებულ ხალხთა მონაპოვრების განმტკიცება და იმათი გამარჯვება, ვინც განაგრძობს ბრძოლას თავისუფლებისათვის, შესაძლებელია დედამიწის მთელი რევოლუციური, პროგრესული ძალების გაერთიანების პირობებში. არ იქნებოდა სწორი მსოფლიოს მთელი რევოლუციური ძალების ამ ერთობისათვის დაგვეპირისპირებინა ძალთა დაჯგუფება კანის ფერის, რელიგიური რწმენის მიხედვით.

როგორც იცით, თქვა დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩამოვედით მეგობრული ვიზიტით პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის მოწვევით, და სასიამოვნოა, რომ ჩვენი აქ ყოფნა იმთხვევა ზეიმს ნილოსის დაგახიდვის გამო.

ნილოსის ნაპირებზე შესანიშნავი გამარჯვებაა საბჭოთა და არაბი მუშებისა და სპეციალისტების თანამშრომლობის, ამხანაგობისა და ძმობის სულისკვეთება, რომლებიც იპყრობენ ამ დიდ მდინარეს. აი ეს არის ხალხთა მეგობრობა საქმით და არა სიტყვით! აი ეს არის საბჭოთა კავშირის ხალხებისა და აღმოსავლეთის ხალხების სოლიდარობის ლენინური პრინციპების ცოცხალი განსახიერება! გაიელის საუკუნეები, ასუანის მაღლივი კაშხალი კი არაბი ხალხის გმირული შრომითი მეცადინეობისა და საბჭოთა კავშირ-არაბეთის ურღვევი მეგობრობის მარადიული სიმბოლო იქნება!

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი ნასერი კვლავ მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს.

ყველა დამსწრე მქუხარე ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით აკილებს საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ეროვნული კრების სპეციალური სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრას, მთავრდება. სხდომა ტრანსლირებული იყო კაიროს რადიოთი და ტელევიზიით.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკება

კაირო, 11 მაისი (საკდესის სპეც. კორ.). 10 მაისს კუბას სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა გულახდილი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე მდგომარეობის საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დამყარდა ძმური მეგობრული ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა, და განაცხადეს, რომ მზად არიან განამტკიცონ და განავითარონ ეს მეგობრობა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის.

პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი წვლილია ამ ტრადიციული მეგობრობის განმტკიცების საქმეში, რასაც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დიდად აფასებს.

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის როლს საბჭოთა კავშირ-არაბეთის ურთიერთობის საქმეში. იმ პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც ემსახურება ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ფოთი, 11 მაისი (საქდესი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა **ამხ. ბ. ხ. კვარაცხელია** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია **ამხ. ი. ი. ედეშავა.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროში შეიყვანა და მდივნად აირჩია **ამხ. გ. თ. არჩაია.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ **ამხ. შ. ი. ჭანუყვაძემ.**

გეგმების შესრულება

მაიაკოვსკის სახელმოო სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა კვერცხის დამზადების ყლიური გეგმა. ნაცვლად 850.000 ცალისა დამზადებულია 854.000 ცალი კვერცხი.

ყლიური გეგმის ზევით კვერცხის დამზადება გრძელდება.

გურჯაანის სახელმოო სამმართველოს სოფლის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმები. ნაცვლად 4.391 ჰექტარისა დათესილია 4.576 ჰექტარი. თესვისათვის ხელსაყრელ ვადებს უნარიანად იყენებენ და გეგმის ზევით კვლავ თესავენ სიმინდს.

საგაზაფხულო კულტურების თესვაში თავი ისახელეს ნანიანის, მელაანის, ველისციხის და სხვა კოლმეურნეობებმა.

მეჩაიეები ახალი გამარჯვებებით გაითქვამენ სახელს



სურათზე: სხდომის დარბაზში. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე.

ფოტო ი. ჭოხო ნელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩაის მრეწველობისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს გასულ წელს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა. საბჭოთა მეჩაიეობის მთელი ისტორიის მანძილზე მათ მოკრიფეს ყველაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი — 186 ათასი ტონა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს საქართველოს მშრომელებს მოპოვებული წარმატება.

ჩაის პლანტაციების მშრომელებმა პირველებმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გადალახეს შვიდწლედის ბოლო წლის მიჯნა და ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულებმა, მხურვალედ მოკიდეს ხელი იმას, რომ მიმდინარე სეზონში შეასრულონ 1965 წლისათვის ნაკისრი ვალდებულება — მოკრიფონ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

წარმოებს ფოთლის კრეფა. დროზე მიიღონ და გადაამუშაონ მთელი მოსავალი, მისცენ ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი სურნელოვანი ქართული ჩაი — ამ საკითხებს მიეძღვნა ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირზე, რომელიც სამტრედიაში გაიმართა, იყვნენ ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, პარტიული კომიტეტების მდივნები და საწარმოო სამმართველოთა უფროსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ეკონომისტები, მეცნიერები, კონსტრუქტორები, აგრეთვე მოსკოვის, უფის, რიაზანის, ოდესის, ბაქოს, ალმა-ატის ჩაის მრეწველობის მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ზ. გელდიაშვილმა.

მოხსენებანი გასული წლის მუშაობის შედეგებისა და შვიდწლედის მეექვსე წლის ამოცანების შესახებ გააკეთეს „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველმა ა. ჩიქოვანმა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის მმართველმა გ. ქართველიშვილმა.

საქართველოს ჩაის მრეწველობამ წარმატებით დაამთავრა გასული წელი. ბაიხაო ჩაის წარმოების გეგმა 114,3 პროცენტით შესრულდა. გამომუშავებულია 45.381 ტონა ჩაი. გადაჭარბებით შესრულდა უმაღლესი და პირველი ხარისხების პროდუქციის გამოშვების დავალებანი. მოსკოვის, თბილისის, უფის, ოდესის, რიაზანის, სამარყანდისა და სხვა ქალაქების ჩაის საწონმა ფაბრიკებმა მილიონობით კილოგრამი ქართული ჩაი მიიღეს.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის ჩაის

(დასასრული მე-2 გვ.)

მ ე ჩ ა ი ე ე ბ ი
ახალი გამარჯვებებით გაითქვამენ სახელს

(დასასრული)

საწარმოებში განსაცვიფრებელი ცვლილებანი მოხდა. შეიქმნა ახალი სრულყოფილი ტექნიკა, მოწყობილობა. ჩაის ფაბრიკები აღჭურვილია მსოფლიოში საუკეთესო ტექნიკით და მუშაობენ სრულყოფილი ტექნოლოგიით. საქართველოს მეცნიერებმა და სპეციალისტებმა შექმნეს კომბინირებული საფიქსაციო-საღრობი მანქანები. მექანიზებული სარულერო საამქროები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ერთსა და იმავე ფაბრიკაში აწარმოონ ორი სახეობის პროდუქცია — შავი და მწვანე ბაიხო ჩაი. კომპლექსური მექანიზაციის შედეგად თვითეული ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე 58 პროცენტით გადიდდა. ეს საშუალებას გვაძლევს ყოველწლიურად გადავამუშაოთ დამატებით — ფაბრიკების საწარმოო ფართობის გაუდიდებლად — 65 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შეესაბამება 26 ახალი ტიპური ჩაის ფაბრიკის სიმძლავრეს. კომპლექსური მექანიზაციის შედეგად დაიზოგა 25 მილიონი მანეთი.

თათბირზე აღინიშნა, რომ კარგად მუშაობენ ზუგდიდის № 1, გურიანთის, გალის, ნასაკირალის, ოფურჩხეთის, ცხაკაიას, ლაითურის, აჩიგვარის, ბათუმის, მაღალი ეწერის, ინგირის, გეგეჭკორის და მთელი რიგი სხვა ჩაის ფაბრიკები. აღინიშნა, რომ საჭიროა მოწინავე საწარმოთა მუშაობის მეთოდების ფართოდ განზოგადება და. ამქიური დანერგვა. ეს ნაკარნახევია იმით, რომ ყველა ჩაის ფაბრიკა როდი მუშაობს მთელი სიმძლავრით, როდი იყენებს წარმოების რეზერვებს. არის ნაკლოვანებანი ნედლეულის მიღებასა და გადასამუშავებლად დროზე მოწოდებაში, ირღვევა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები. ზოგიერთი საწარმოს ფინანსურ-ეკონომიური მაჩვენებლები გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლებია.

დიდძალ ჩაის ფოთოლს იძლევიან სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობანი. მიმდინარე წელს მათ უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 35 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. მომზადების დონეზე, მოსავლის დროულად და ხარისხიანად აღებაზე დამოკიდებულია საქმის წარმატება. მაგრამ ყველა ჩაის საბჭოთა მეურნეობა როდი მოემზადა ჯეროვნად მოსავლის აღების სეზონისათვის. ჯერ კიდევ არის მეურნეობანი, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან ინვენტარით, კალათებით, ბრეზენტით, წესრიგზე არ არის მოყვანილი გზები, რომლებიც ქლანტაციებს ფაბრიკებთან აკავშირებენ. ეს ხელს ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრაზე იქნა მიპყრობილი თათბირის მონაწილეთა მთავარი ყურადღება.

დიდი ინტერესი გამოიწვია ინგირის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორის ს. ებრალიძის გამოსვლამ. აქ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის გამოსავლიანობა ჰექტარზე 5.050 ცენტნერამდე შეადგინა, წარმატებთ შესრულდა ფოთლის კოეფიციენტი და ჩაის წარმოების გეგმები. მეურნეობა ჩაის კულტურის ‘ოელა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საჩვენებელი მეურნეობაა. დაკომპლექტებულია 36 კომპლექსური რგოლი, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტექნიკა, ქლანტაციების ნაკვეთები. აქ გამოყენებულია მატერიალური წახალისება უხვი ჩაის მოყვანისათვის. კარგ შედეგებს იძლევა მოსავლის მექანიზებული აღება. შემცირდა ჩაის საკრეფი მანქანებით „საქართველო“ მოკრეფილი ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება.

ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **დ. თებიძემ** ილაპარაკა მეჩაიეთა შრომის დიდ ხაყოფიერებაზე, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ნიადაგისა და ჩაის ბუჩქების მოვლის სამუშაოები, იმაზე, თუ რა ეფექტიანია მინერალური სასუქების შეტანა კარტოგრამების მიხედვით. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში სასუქები შეაქვთ რაციონალურად, ქლანტაციის ამა თუ იმ ნიადაგის მდგომარეობის გათვალისწინებით. საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ ეს ვალდებულებანი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა სკოლები, სადაც სწავლობენ ბუჩქების მოვლის პროგრესულ მეთოდებს. უხვი მოსავლის ოსტატები თავიანთ გამოცდილებას სხვებს უზიარებენ. ბევრმა ბრიგადამ, რგოლმა, კოლმეურნეომ, საბჭოთა მეურნეობების მუშამ იკისრა ჰექტარზე მოკრიფონ 6, 7, 8 ათასი კილოგრამი ფოთოლი. მთელი რიგი მეურნეობების პლანტაციები მომზადებულია იმისათვის, რომ იქ იმუშაონ მოსავლის მექანიზებულმა აღების მანქანებმა.

ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის დირექტორმა **რ. ხოფერიამ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა უპირატესობანი აქვს ნედლეულის გადამუშავების კომბინირებულ მეთოდს. ახალმა ტექნიკამ, რომლითაც აღჭურვილია ფაბრიკა, მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს“ მუშაობის შესახებ ილაპარაკა გალის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ვ. კოკაიამ.** კარგად იმუშავეს მანქანებმა გასულ წელს აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში. პლანტაციების მშრომელები კმაყოფილი არიან ამ მანქანებით და მოელიან ახალ ასეთ მანქანებს. მიმდინარე წელს „საქართველო“ იმუშავებს კიდევ ერთ საბჭოთა მეურნეობასა და ექვს კოლმეურნეობაში. საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში მთელმა რიგმა ბრიგადებმა და რგოლებმა დაიწყეს ჩაის კომპლექსური მოვლა-მოყვანა.

თათბირზე გაპოვიდნენ აგრეთვე წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის ნახევარფაბრიკატების საამქროს უფროსი **ლ. ნუცუბიძე,** წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. კვარაცხელია,** სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. წითლიძე,** კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხახაშვილი.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ.**

აქ, თქვა ამხ. მეჟავანაძემ, შეიკრიბნენ ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ეკონომისტები, კონსტრუქტორები, მეცნიერები, მეჩაიეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით ყველა ჩვენს მეჩაიეს.

ჩაის პლანტაციების სახელოვან მშრომელთა თავდადებული შრომა დიდად არის შეფასებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში. პარტიისა და მთავრობის მისალმებით აღფრთოვანებული მეჩაიეები მზრუნველად ჰკიდებენ ხელს ახალ დიდ საქმეებს. ზრუნავენ იმისათვის, რომ მიმდინარე წელს შეასრულონ შვიდწლედის დამლევისათვის ნაკისრი ვალდებულება—მოკრიფონ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დარწმუნებული ვართ, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, პარტიული კომიტეტებისა და საწარმოო სამმართველოების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ ჩაის ნედლეულის ასეთი რაოდენობით მოკრეფა. ამას მოწმობს პატრიოტული მისწრაფება — მისცენ საბჭოთა ადამიანს სოფლის მეურნეობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტი.

ამ ბოლო 10 წელიწადში ჩაის ფოთლის კრეფა განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1963 წელს მიიღწია 186 ათას ტონას, მაშინ როცა 1953 წელს მოკრეფილი იყო 107 ათასი ტონა. ეს ჩვენი მეჩაიეების, ჩაის პლანტაციების სახელმოხვეული ოსტატთა მარჯვენის საქმეა. მათ მიერ აღებული ხაზი — გაზარდონ ჩაის ნედლეულის წარმოება, ყოველწლიურად გადაჭარბებით შეასრულონ ჩაის კრეფის გეგმები, სწორი ხაზია, იგი ცხადყოფს, რომ პარტია და მთავრობა უნარიანად წარმართავენ საბჭოთა-სამეურნეო წარმოებას. ეს საწინდარია ახალი წარმატებებისა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ გვიჩვენებენ, რათა გამოვიყენოთ შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია, მექანიზაცია და ირიგაცია ქმნის. უნდა ითქვას, და თქვენ ეს კარგად იცით, რომ ჩვენს ჩაის მეურნეობებს სახელმწიფო ყოველწლიურად საკმაო რაოდენობით აძლევს მინერალურ სასუქებს. აქ საქმე ეხება იმას, რომ უნარიანად შევინახოთ და რაციონალურად გამოვიყენოთ ეს სასუქები. ამ საქმეში წესრიგი უნდა დავამყაროთ ყველა მეურნეობაში. კარგი სამსახური უნდა გაგვიწიოს ნიადაგის აგროქიმიურმა ლაბორატორიებმა.

ბევრი რამე გააკეთეს და აკეთებენ ჩაის მოვლა-მოყვანის მექანიზაციისათვის ჩვენი მეცნიერები და კონსტრუქტორები. ჩვენ გვაქვს მანქანები და იარაღი, რომელთა საშუალებით ჯეელეთ ნიადაგსა და ბუჩქებს. ახლა კი მოგვეპოვება შესანიშნავი მანქანა „საქართველო“ ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის. ეს მანქანა სულ უფრო უძლეველდება, კლებულობს მისი წონა. შარშან მუშაობდა „საქართველოს“ მარკის ასი მანქანა. უახლოეს ორ წელიწადში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ კიდევ 400 მანქანას.

ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობაში ადამიანთა დიდი ჯგუფის შრომის ნაყოფია. მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ როდის დამთავრებული, უნდა გადავჭრათ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. ამიტომ საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ სპეციალისტთა, კონსტრუქტორთა, მეცნიერთა, წარმოების ნოვატორთა საქმიანი კონტაქტები, შემოქმედებითი კავშირი ანსამბლის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივთან.

ბევრი რამ კეთდება ჩაის პლანტაციების მოსარწყავად გვალვიან წლებში.

მაგრამ ინტენსიფიკაცია ეს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების თვისებრივად ახალი ტექნოლოგიაა. აქ გამოვიდა ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორი ამხ. ე. ბერაძე. მან მოიყვანა საინტერესო ფაქტები, მაგალითები მეურნეობის მუშაობის პრაქტიკიდან, კერძოდ, ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ საწარმოო ეფექტს იძლევა კომპლექსური რგოლების მუშაობა. ყოველნაირად უნდა დავაჩქაროთ ახალი ტექნოლოგიის დანერგვა. ეს საქმე თავიანთ ხელში უნდა აიღონ პარტკომებმა, საწარმოო სამმართველოებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა. უნდა შევქმნათ ჩაის მექანიზებული მოვლა-მოყვანისა და კრეფის ოსტატ მექანიზატორთა კადრები. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ფართოვდება ჩაის წარმოებაში მანქანური ტექნიკის დანერგვის მასშტაბი. უახლოეს წლებში მოსავლის 50 პროცენტს საბჭოთა მეურნეობებში უნდა იღებდნენ ჩაის საკრეფი მანქანები. იზრდება მოსავლის მექანიზებული აღების მოცულობა კოლმეურნეობებშიც.

ამხ. მეჟავანაძემ ყურადღება მიაქცია, იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსურ-ეკონომიური მაჩვენებლები. გასულ წელს ჩაის ფაბრიკებს უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა დაკალკულირებული, მაგრამ არის ისეთი ფაბრიკებიც, როგორც, მაგალითად, წალენჯიხის პირველი, მუხანსტატეს, შუაფთის, დიდი ჭყონის მეორე და ზოგიერთი სხვა ფაბრიკა, რომელთა მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებანია. ჩაის მრეწველობის ყველა საწარმო და საბჭოთა მეურნეობა სანიმუშოდ უნდა მუშაობდეს, იყოს მომგებიანი. ხელმძღვანელმა, რომელსაც არ შეესწრეს უნარი წესრიგი დაამყაროს მეურნეობაში, უნდა დატოვოს თავისი პოსტი.

ამხ. მეჟავანაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ზუსტი, შეთანხმებული მუშაობა. მან დიდი ყურადღება მიაქცია მომღებ პუნქტებს, ამასთან აღნიშნა, რომ იქ უნდა მუშაობდნენ პატიოსანი, საქმის მცოდნე სპეციალისტები. ჩაის ფაბრიკების აგრონომები უნდა მუშაობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან მჭიდრო, საქმიანი კონტაქტით. ამოცანა ის არის, რომ მთელი მოსული ფოთოლი მოკრეფოთ დროზე. დროზე მივეტანოთ გადასამუშავებლად, რათა მეურნეობები ასრულებდნენ მოსავლის აღების დღიურ ნორმებს, რომ არ იყოს ჩაის ფოთლის რაიმე დანაკარგი. ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეს უშეალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი ჩაის ფაბრიკების აგრონომებმაც.

ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები დაუცხრომლად, თავდადებით მუშაობენ, და ისინი გარემოსილნი უნდა იყვნენ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების მუდმივი ყურადღებითა და ზრუნვით. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ ალაობაში, როცა ადამიანები მთელ დღეს არიან პლანტაციებში, მათ უნდა ვაწვდიდეთ კვების პროდუქტებს, ცხელ საჭმელს. ყველა მეჩაიეს უნდა ჰქონდეს სპეცტანსაცმელი, ჭილის ქუდი, რომელიც დაიცავს მათ მზისაგან, წვიმისაგან.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. მეჟავანაძემ გამოთქვა რწმენა, რომ მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები მიმდინარე წელსაც ისახელებენ თავს გამარჯვებებით, მისცემენ სამშობლოს მეტ სურნელოვან ქართულ ჩაის. (საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

◊ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა დონეცკის თევზკომბინატის კოლექტივის მიმართვა ჩვენი ქვეყნის საგუბურე მეთევზეობის ყველა მუშაკისადმი დიდად პროდუქტიული საგუბურე თევზის მეურნეობების განვითარების შესახებ მოსახლეობის ცოცხალი და ახალი თევზით უზრუნველყოფისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს ურჩია გამოიყენონ დონეცკის თევზკომბინატის გამოცდილება და შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა განავითარონ საგუბურე მეურნეობანი, სამრეწველო ცენტრების გარშემო, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყონ მეთევზეობის ინტენსიფიკაცია, ქიმიური სასუქების და გუბურების მელიორაციის გამოყენების საფუძველზე, აგრეთვე დაეხმარონ ამ მეურნეობებს ტექნიკით, სასუქებითა და საკვებით.

უზრუნველყოთ მოსახლეობა ცოცხალი და ახალი თევზით

უკრაინის სსრ დონეცკის ოლქის დონეცკის თევზკომბინატის კოლექტივის მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი, ახორციელებს რა პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას, სულ ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდებული გეგმების შესრულების საქმეში. წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება საბჭოთა სახელმწიფო, სწრაფი ტემპით ვითარდება სახალხო მეურნეობა, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა.

ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების შექმნაში დიდი წვლილი შეაქვთ თევზის მრეწველობის მუშაკებს. საოკეანო და საზღვაო თევზჭერის განვითარებასთან ერთად თევზის პროდუქტების გამოშვების გადიდების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა გუბურებში, ტბებში, მდინარეებსა და წყალსაცავებში მეთევზეობის კიდევ უფრო გაფართოება. საგუბურე მეთევზეობის მუშაკებს კარგად ახსოვთ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ შიდა წყალსატევები მოსახლეობის ცოცხალი და ახალი თევზით უზრუნველყოფის მტკიცე ბაზა უნდა გახდეს.

დონეცკის თევზკომბინატის კოლექტივი, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებისათვის იბრძვის, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და სახალხო მეურნეობის საბჭოს დახმარებით ყოველწლიურად ზრდის გუბურების ფართობებს. აღიდგინა პროდუქტიულობას და ზრდის პროდუქციის მოცულობას დონბასის სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის გუბურის თევზით მომარაგებისათვის.

ჩვენმა კადრებმა თევზის მოშენების დიდი გამოცდილება შეიძინეს. თუ სამი წლის წინათ ჰექტარზე 10 ცენტნერი თევზის მიღება დონბასის პირობებში დიდ მაჩვენებლად ითვლებოდა, 1963 წელს ტ. პოტაპენკოს რგოლმა 54 ჰექტარი ფართობის გუბურაში საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტი თევზი მოიშენა, ხოლო ტ. ნარიჟნის რგოლმა 118 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 15,7 ცენტნერი თევზი მიიღო.

ასეთი მაჩვენებლები შესაძლებელი გახდა მეთევზეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების შედეგად: ფართოდ განოვიყენეთ წყალსატევებში ქიმიური სასუქები — სუპერფოსფატი და ამონიუმის გვარჯილა, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი საკვები რესურსების განვითარებას, ეანგბადის რეჟიმის გაუმჯობესებას და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ამცირებს კონცენტრირებული საკვების ხარჯს; განვახორციელეთ გუბურების მელიორაცია და გაკირიანება ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების გავრცელების შეზღუდვის მიზნით; დავნერგეთ ჭანარის შემგროვებელი გამოსაყენის მეთოდი და ამ თევზთან ერთად ვაჯარმოებთ სხვა თევზების მოშენებას, რომლებიც არ ეცილებიან კვებაში ჭანარს. ასეთი თევზებია კარჩხანა, თორუჯი და ჰეკლი. გუბურებში ვუშვებთ ფარგის ლიფსიტებს, რომლებიც სეზონის მანძილზე 250-300 გრამს აღწევენ და ამავე დროს გუბურებს წმენდენ მავნე და ნაკლებად საჭირო თევზისაგან.

ჩვენი კოლექტივი მეცნიერებასთან თანამეგობრობით განუხრელად აუმჯობესებს ჭანარის სანაშენო თვისებებს, ნერგავს მეთევზეობაში ისეთ თევზებს, როგორიცაა თეთრი ამური და თავდიდა, რომლებიც წყლის მცენარეებით იკვებებიან, ბევრ პროდუქტს იძლევიან და წმენდენ წყალსატევებს. მცენარისმჭამელი თევზების მოსაშენებლად ელექტროსადგურების თბილი წყლების ბაუაზე აგაშენეთ სპეციალური მეურნეობა, შეკვმენით სანაშენო თევზების გუნდი, მივიღეთ შთამომავლობა და უკვე მიმდინარე წელს გვექნება სასაკონლო თევზი.

მეთევზეობის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებისა და სანაშენო მეთევზეობის გაუმჯობესების შედეგად 1963 წელს 960 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 11,4 ცენტნერი სასაკონლო თევზი მივიღეთ, თევზის ერთ კილოგრამ წონამატებაზე საკვების ხარჯი 1,8 საკვების ერთეულამდე შევამცირეთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,3 ერთეულისა, ცალკეულ წყალსატევებში ბუნებრივი პროდუქტიულობა ჰექტარზე 8 ცენტნერამდე გავადიდეთ, 1.200 ტონა კომბინირებული საკვები დავზოგეთ და 12.200 ცენტნერი თევზი მივიღეთ, ანუ 133 პროცენტით შევასრულეთ გეგმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა (1963 წ.) და თებერვლის (1964 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებათა პასუხად დონეცკის თევზკომბინატის კოლექტივმა გაითვალისწინა თავისი რეზერვები და გადაწყვიტა შვიდწლედის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საკონტროლო ციფრებთან შედარებით 12 ათასი ცენტნერით გაადიდოს გუბურის თევზის მოშენება, 1965 წელს გუბურის თევზის პროდუქტიულობა 2.000 ჰექტარ ფართობზე სამუალოდ 14 ცენტნერით გადიდოს, მისცეს ჩვენს ქვეყანას 31 ათასი ცენტნერი თევზი და 350 ათასი მანეთი მოგება მიიღოს.

ჩვენს მეურნეობაში შექმნილია გუბურების მშენებლობის, რემონტისა და მელიორაციის სპეციალიზებული ბრიგადა. ამის შედეგად თავი მოვუყარეთ ტექნიკას, კვალიფიციურად ვუძღვებით სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებს და შევამცირეთ გუბურების მშენებლობის ღირებულება. ამოცანად დავისახეთ უახლოეს 3-4 წელიწადში საჯარო სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ჩვენი მეურნეობის ზონაში ავაშენოთ 9.000 ჰექტარი გუბურები, გავადიდოთ თევზის მოშენება წელიწადში 1.200 ათას ცენტნერამდე და ლუგანსკის ოლქებში მტკიცე ბაზა შევქმნათ დონბასის მოსახლეობის ცოცხალი და ახალი თევზით მომარაგებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ მიგვიჩნია, რომ ასეთი მეთევზეობის მეურნეობანი, თუ რამდენადმე შევეწყობთ ხელს ტექნიკით, სასუქებითა და საკვებით, შეიძლება ჩვენი ქვეყნის სხვა ეკონომიურ რაიონებშიც მოეწყოს, უწინარეს ყოვლისა სამრეწველო ცენტნერების გარშემო, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ამით მტკიცე ბაზა შეიქმნება მოსახლეობის ცოცხალი და ახალი თევზით მომარაგებისათვის. ჩვენ საბჭოთა კავშირის საგუბურე მეურნეობათა ყველა მუშაკს მოვუწოდებთ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღონ საგუბურე მეთევზეობის ფართოდ განვითარებისათვის და თავიანთი წვლილი შეიტანონ თევზის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

მიმართვა განიხილა და მიიღო დონეცკის თევზკომბინატის კოლექტივის საერთო კრებამ.

არ იკითხავთ — როგორ?

ამ უკანასკნელ წლებში ახალციხის განაპირას, ახალქალაქის მიმართულებით მიმავალი გზის მარცხივ, კიდევ ერთი ახალი დასახლება გაჩნდა. გაჩნდა ქუჩებიც — მარჯანიშვილის, გაგარინის, ტიტოვის, ვარძიის, ხაშურის... აქ ცხოვრობენ მრავალი პროფესიის ადამიანები: შრომისმოყვარე მუშები, ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები...

ცხოვრობენ... მაგრამ იმას აღარ იკითხავთ, როგორ?

კანალიზაცია ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. მთელ უბანში ანტისანიტარიაა. ახალუბნელები არც სასმელი წყლით არიან უზრუნველყოფილი და არც სასურსათო მაღაზია აქვთ. მისასვლელი გზების კეთილმოწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ახალუბნელებმა დახმარებისათვის არაერთხელ მიმართეს ახალციხის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, მაგრამ ამაოდ.

ვ. მელიქიძე,
ბ. მახათაძე,
რ. ალაჯანიანი,
ახალი უბნის მცხოვრებნი.

სოფლის მშრომელები მოითხოვენ

ზამთარეთის ხეობაში (ჯავის რაიონი) რამდენიმე დასახლებული პუნქტია. სასოფლო მაღაზია არსად არ არის. აქაური მკვიდრნი პირველი მოთხოვნილების საგნების საყიდლად ათი კილომეტრის დაშორებით მეზობელ სოფლებში მიდიან.

რ. ქელეხსაევი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

მ შ ი ე რ ი ძ რ ო ხ ა რ ძ ე ს რ ო დ ი ი ძ ლ ე ვ ა !

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი გაცნობებთ, რომ ფაქტები, მოყვანილი გაზეთ „კომუნისტის“ 1964 წლის 27 მარტის ნომერში მოთავსებულ სტატიაში „მშიერი ძროხა რძეს როდი იძლევა“!, რომელიც ეხებოდა გალის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას, დადასტურდა.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში არსებული მდგომარეობისა და ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ. მკვეთრად გაკრიტიკებულ იქნენ გალის საწარმოო სამმართველო და პარტიული კომიტეტიც იმისათვის, რომ სუსტ კონტროლს უწევდნენ და საკმაოდ არ ეხმარებოდნენ კოლმეურნეობების გამგეობებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

სამმართველოს კოლმეურნეობებში მეცხოველეობის მდგომარეობა არაერთხელ იქნა განხილული საქართველოს კპ გალის პარტიული კომიტეტის ბიუროზეც, მაგრამ მიუხედავად ამისა მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვერ შექმნეს ჯეროვანი პირობები საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რის შედეგადაც სადგმი სულადობის პროდუქტიულობა კვლავ ძალიან დაბალია.

გაზეთ „კომუნისტში“ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ თავის 1964 წლის 24 აპრილის სხდომაზე განიხილა საკითხი გალის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის არადამაკმაყოფილებელი განვითარების შესახებ და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. ამ ღონისძიებებით პარტიულ კომიტეტს, საწარმოო სამმართველოს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და პირველად პარტორგანიზაციებს ევალებათ მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, პირუტყვის მოვლა-შენახვის, კვებისა და ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესების გზით მიაღწიონ მეცხოველეობის მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

მ. ბლაჟბა.
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

რ ო დ ი ს დ ა ა მ თ ა ვ რ ე ბ ე ნ ?

ზესტაფონის რაიონში ბოსლევი მოზრდილი სოფელია. მას შუაზე ჰყოფს მდინარე ყვირილა. სოფლის უბნები უბრალო ბოხლეებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

გადაწყდა სოფლის ცენტრში სამანქანო ხიდის აგება. ეს აუცილებელია. აქ არსებული ღვრის მარნისათვის. რკინიგზის ხიდების მშენებლებმა („ბოსტოროეზდის“ უბანი, უფროსი გ. კურცალია) დაიწყეს ეს საქმე. მათ მდინარეში ჩადგეს რკინაბეტონის ბურჯები, შეასრულეს დაკალებული სამუშაოები. ამის შემდეგ ხიდის მშენებლობა უნდა განგრძოთ და დაემთავრებინათ ზესტაფონის რაიაღმასკომის საგზაო განყოფილებას (გამგე დ. მოდებაძე) და სასოფლო საბჭოს. მაგრამ საქმე დასასრული არ უჩანს.

სოფლის მშრომელებს აინტერესებთ: როდის დაამთავრებენ ხიდის მშენებლობას?

ა. კაკაბაძე.

ა ვ ტ ო ბ უ ს ე ბ ი უ გ რ ა ფ ი კ ო დ

მისასალმებელია, რომ ჭიათურა საავტომობილო ტრანსპორტით დაუკავშირდა თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ზესტაფონს. ამაზე მაღლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ სამწუხაროა, რომ ავტობუსები უგრაფიკოდ მოძრაობენ. ჭიათურელი მგზავრი ვერ გაიგებს, რომელი ავტობუსი რომელ საათზე და საიდან გადის.

წ ე რ ი ლ ე ბ ი რ ე დ ა ქ ც ი ა ს

ს ა დ ვ ი შ ო ვ ო თ თ ბ ი ლ ი ს ი ს გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი ?

ამ რამდენიმე დღის წინათ ლენინგრადიდან ორი მგზავარი მესტუმრა. ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი დედაქალაქის სადმი. ვაჩვენე ღირსშესანიშნავი ადგილები, მაგრამ როდესაც ჯერი მიდგა ქალაქის რამიე ილუსტრირებული ცნობარის შეძენაზე, იგი არ აღმოჩნდა საქმეგანის არცერთ მაღაზიაში. მე ჩემთვის მქონდა თბილისის მოკლე ცნობარი ტურისტებისათვის „საბჭოთა საქართველოს“ მიერ რუსულ ენაზე 1962 წელს (ავტორი გ. გოგია) გამოცემული, რომელიც ვიჩუქე ერთ მათგანს, მაგრამ მეორე გულდაწყვეტილი დარჩა. შევძარი მთელი ქალაქი და ვერ ვიშოვნე სხვა ეგზემპლარი, სანამ არ მოვძებნე მისი ავტორი, რომელმაც ხათრი გამიწია და დამითმო ერთი ცალი.

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მოზრდილ ქალაქში მთელი წლის განმავლობაში იყიდება ასეთი სახის მრავალი ლიტერატურა. თბილისი კი, რომელიც ოდითგანვე ცნობილია თავისი სტუმართმოყვარეობით, ამ შემთხვევაში დალატობს თავის ტრადიციას. თითქოს შეივსო ნაწილობრივ ეს ხარვეზი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამზადებული „ბ. ბ. ბ.

ისტორიული ვიზიტი

კაიროს ყველა გაზეთის მთავარი თემა

კაირო, 11 მაისი. (საკადესი). საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში კაიროს ყველა გაზეთის მთავარი თემაა. დღევანდელი გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნასერის სტატყვებს ახალგაზრდობის დღესასწაულზე, რომელიც გუშინ გაიმართა კაიროს სტადიონზე, და ორი ლიდერის მოლაპარაკებას, რაც გუშინ დაინყო.

მოწინავე სტატიაში გაზეთი „ალ-გუმჰურია“ აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნასერის მოლაპარაკებას თვალყურს ადევნებს მთელი მსოფლიო. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს: „ის, რაც ამ მოლაპარაკებაზე ხდება, და ის, რაც მოხდება, — ყოველივე ეს ადამიანის საკეთილდღეოდ იქნება“.

გაზეთ „ალ-გუმჰურიას“ რედაქტორი ნაშაშიბი აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობის წინაშე მიმართული იყო არაბული ქვეყნების მთელი ახალგაზრდობისადმი. საბჭოთა პრემიერს, წერს იგი, კარგად ესმის არაბი ერის ბრძოლის არსი, როცა იგი მიესალმება არაბი ხალხების მოძრაობას ერთობისათვის, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე.

გაზეთ „ალ-გუმჰურიას“ მეორე რედაქტორი ქამალ პენაუი წერს: „ენით გამოუთქმელია შეხვედრა, რაც ხრუშჩოვს მოუწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხმა. ჩვენს ხალხს არასოდეს არ დაავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო ჩვენი მეგობარი. მიღება, რაც ხრუშჩოვს მოუწყვეს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო დადასტურებაა. უეჭველია, რომ ეს ისტორიული ვიზიტი განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის ურთიერთობას“.

გაზეთი „ალ-ამბარი“ სარედაქციო სტატიას უძღვნის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნასერის სიტყვების ანალიზს, რომლებიც წარმოთქვეს ამდენის სასახლეში გამართულ დარბაზობაზე. სტატიაში ნათქვამია, რომ „ეს სიტყვები ახალი დადასტურებაა ორი ლიდერის აზრთა ერთობისა, რომელთაგან თვითეული იბრძვის კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის, უარს ამბობს მუქარაზე, რომელთაგან თვითეული ესწრაფვის მშვიდობის უზრუნველყოფასა და ხალხთა კეთილდღეობას“.

გაზეთი „ალ-ამბარი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი თავის თანამებრძოლებთან ერთად პოლიტიკას საფუძვლად უდებს ყველა მებრძოლ ხალხთან უანგარო თანამშრომლობას პროგრესისა და სიცოცხლის გამარჯვების ინტერესებისათვის. ამიტომ საუკეთესო, რაც შეიძლება რევოლუციურმა ხალხმა უძღვნას ისეთ მებრძოლს, როგორიც არის ხრუშჩოვი, — წერს გაზეთი, — ეს არის მტკიცე და მუდმივი ერთგულება ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობისადმი უკეთესი ცხოვრების ინტერესებისათვის, ცხოვრების გამარჯვების ინტერესებისათვის“.

წერილი ასუანიდან

სასწაული უდაბნოში

ის დღე, როცა ნილოსის კალაპოტი გადაიბიდება, ჩვენთვის, საბჭოთა ჰიდრომექანიზატორებისათვის, გახდება არა მარტო დღესასწაული ადამიანის გაძარჯვებისა ბუნების ძალებზე, იგი შეაჯამებს ჩვენი სამი წლის შრომის შედეგებს, „შეფასებას ბისცემს“ ახალ მეთოდებს, რომლებსაც მშენებლობაზე ვიყენებთ. უწინარეს ყოვლისა ეს არის ქვიშების წყალქვეშა გამკვრივება, რაც გახხორციელდა სსრ კავშირში სპეციალურად კონსტრუირებული და დამზადებული 1.500 ტონა ტვირთამწეობის მეტრავი დანადგარებით.

იქ, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, სამი უდაბნოს — არაბეთის, ნუბიისა და ლიბიის უდაბნოების შესაყარია. ეს უდაბნოები არიან იმ ქვიშის „მომწოდებლები“, რომლის აღებაც ათი კილომეტრის რადიუსში მოგვიხდება. არაბმა მშენებლებმა წარმატებით გაართვეს თავი თავიანთ ამოცანას: გადამდე დამთავრებულია პირველი რიგის სამუშაოები კაშხალზე და სარინ არხზე.

ჩვენ, საბჭოთა მშენებლები, ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი გაძოცდილებით, ჩვენი შრომით ვეხმარებით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს განახორციელოს თავისი დიდი ოცნება ნილოსის დამორჩილების შესახებ. ბედნიერი ვართ, რომ ასეთი კაცი სკოლა გახდა ბევრი არაბი სპეციალისტისათვის. გული ხარობს, როცა ხედავ, რა უნარიანად შრომობენ ისინი, რა მდიდარია ნიჭიერი ადამიანებით ეგვიპტის მიწა, რა გამოცდილი, უნარიანი ოსტატები გახდნენ რესაუბლიკის სოფლებიდან მშეიბლობაზე მოსული ფელახები.

ჩვენ ვამაყობთ მათთან მეგობრობით, რომლის სიმტკიცე გახდა სად-ალ-ალი — სასწაული უდაბნოში.

გ. მოსლიაკოვი,
ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს უფროსი.

სურათზე: (მარცხნიდან) ჰიდრომექანიზაციის უფროსის მოადგილე აქმედ ტისრა და ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს უფროსები გ. ძ. მოსლიაკოვი და ბუსტაფა შიტა.

ფოტო საკადესის სპეციალური კორესპონდენტის **ვ. ბუდანისა.**

ამერიკული ინიციატივა

შიშს ჰბვრის იმპერიალისტებს

ფაშისტთა ნაშიერნი — საბრალდებულო სკამზე

ნიუ-იორკი, 9 მაისი. (საკადესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნემ“ გამოაქვეყნა ინგლისელი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის შემდეგი წერილი:

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნს“. ხარი უნდა დავუჭიროთ შეერთებული შტატების ცდას გაიუმჯობესოს ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, და, კერძოდ, პრეზიდენტ ჯონსონის განცხადებას, რომ იგი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირს გერმანიის საკითხის მოწესრიგებაში, ფრიად გამამხნევებელია.

ასეთ მდგომარეობაში ძნელი გასაგებია შეერთებული შტატების პოზიცია კუბის ძიმართ, რაც შეშფოთებას იწვევს. საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობის დამყარების ამოცანა არა მგონია ეგუებოდეს ასეთ მტრულ პოლიტიკას კუბის მიმართ. მშვიდობის ერთადერთი იმედი არის ის, რომ შეხელდეს მტრული ურთიერთობა მსოფლიოს მშფოთვარე რაიონებში.

ამერიკის თვითმფრინავების ფრენა კუბაში კუბის სუვერენიტეტის სრული დარღვევაა და მიუღებელი იქნებოდა მსოფლიოს ყოველი სახელმწიფოსათვის. შეერთებულ შტატებს თავის ტერიტორიაზე აქვთ რაკეტები, მაგრამ ამის გამო როდი მისცემდნენ ისინი ნებას საბჭოთა კავშირის ან კუბის თვითმფრინავებს დაეფრენიათ შეერთებული შტატების საჰაერო სივრცე. პატარა ქვეყნის მიმართ დიდი ქვეყნის ასეთმა მოქიდებამ უნდა გამოიწვიოს მსოფლიოს ყველა ადამიანის სიხარული, ხოლო გუახტახამოს ყურეში ძალის მეთხებით არასასურველი სამხედრო ბაზის შენარჩუნება ნამდვილი იმპერიალიზმია.

მინდა შეერთებული შტატების მთავრობას მოვუწოდო დაამყაროს კუბასთან ნორმალური ურთიერთობა და გააუქმოს კუბის ტერიტორიაზე ფრენის გეგმები.

დარწმუნებული ვარ, რომ კუბის უფლებების პატივისცემა შეეხსაბამება შეერთებული შტატების საარსებო ინტერესებს და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა. ამერიკა რომ ასეთ აქტს ჩაიდენს, მთელი მსოფლიო მოიწონებდა და წარმოდგენაც არ შეიძლება, რომ ამ აქტის წინააღმდეგ გაალაშქროს ვინმემ იმათგან, ვისაც სურს ბოლო მოეღოს ცივ ომსა და ატომური ომის საშიშროებას.

რასელი: გაუგებარი პოზიცია

რასკის ინტერვიუ ბი-ბი-სისადმი

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა გუშინ ინგლისის ტელემაყურებლებს ტელევიზიით გადაცემისათვის ჩაწერილ ინტერვიუში განუცხადა, რომ დავა ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის კუბასთან ვაჭრობის გამო „თავისი მნიშვნელობით ტაქტიკური და წვრილმანი დავაა“ და რომ ორივე ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობს „ბევრ საკითხში ყველგან მსოფლიოში“, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო.

რასკმა უპასუხა შეკითხვებზე და შეეცადა შეემცირებინა მნიშვნელობა კუბასთან ვაჭრობის საკითხისა როგორც ხერიოზულ უთანხმოებათა წყაროსი, თუმცა ცნობილია, რომ რასკი და ჯონსონის მთავრობის სხვა თანამდებობის პირნი მრავალი თვეა ზეგავლენას ახდენენ ინგლისის მთავრობაზე, რათა მან შეაჩეროს ექსპორტი კუბაში.

რასკმა კვლავ ხაზი გაუსვა აგრეთვე ამერიკის ვალდებულებას დაიცვას დასავლეთი ევროპა და შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირონ მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის იდეას, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ზოგიერთი ევროპელი მოკავშირის „ერთობლივ მფლობელობაში“ იქნებიან და ერთად დაკომპლექტებენ.

ტოდორ ქივკოვი ალჟირს ეწვევა

სოფია, 11 მაისი. (საკადესი). ბულგარეთში ყოფნის დროს ალჟირის პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურმა მდივანმა, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამმედ ბენ ბელამ სთხოვა ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით ეწვიოს ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ტ. ჟივკოვი დათანხმდა მიწვევაზე.

მოწოდება უშიშროების საბჭოსადმი

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საკადესი). საზღვრეთ როდეზიის პარტიის — აფრიკელი ხალხის ზიმბაბვეს კავშირის გენერალურმა მდივანმა ნიახდორომ მოუწოდა უშიშროების საბჭოს განიხილოს სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მდგომარეობა.

დღეს აქ გამოქვეყნდა დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ თანისადმი, რომელშიც ნიანდორორო აცხადებს, რომ ნკრომოსა და ითსობიმი მრსი მომხრის დაპატიმრება და დაკავება მოითხოვს საბჭოს მოწვევას. ნკრომოსა და პარტიის — აფრიკელი ხალხის ზიმბაბვეს კავშირის სხვა მოღვაწენი სიცოცხლე საფრთხეშია.

ალიენდე—ჩილის პრეზიდენტობის კანდიდატი

ჰავანა, 10 მაისი. (საკადესი). ჩილის საარჩევნო ხელისუფლებმა სენატორი სალვადორ ალიენდე რეგისტრაციაში გაატარეს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად სახალხო მოძმედების ფრონტისაგან. პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება მიმდინარე წლის 4 სექტემბერს.

როგორც პრესა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი სანტიაგოდან იუწყება, ალიენდე პირველი კანდიდატია, ოფიციალურად შეტანილი საარჩევნო სიებში.

ბოლივია

მდგომარეობა გრაზილიაში

რიო-დე-ჟანეირო, 11 მაისი. საკადესის კორესპონდენტი **მ. ალიბიენი** იტყობინება:

ბრაზილიის პრესა სულ უფრო მეტი შეშფოთებითა და დაუინებით ხვამს ერთ და იგივე კითხვას: „ვის სათ მიჰყავს ბრაზილია? როგორია მისი პერსპექტივები?“.

საპარლამენტო მანდატებისა და პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა გრძელდება, აღნიშნავს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „კორეიო და მანია“ მთელ ბრაზილიაში ცვლიან დეპუტატებს, პრეფექტებს, მუნიციპალიტეტთა მუშაკებს, საფრთხე მოელით გუბერნატორებსაც. ეკვი არ არის, - შენ დადგა წმენდის ახალი ეტაპი, შენიშნავს გაზეთი. იგი აღნიშნავს, რომ დღემდე არ არის გადაჭრილი არც ერთი ეკონომიური, ფინანსური და სოციალური პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უაღრესად საჭიროა. არ იცავენ კანონებსაც კი, რომლებიც ახლმა მთავრობამ გამოსცა. გაბატონებულია თვითნებობა და საფრთხე მოელის ყოველგვარ თავისუფლებას — ინდივიდუალურსა და კოლექტიურს. „დიქტატურის პირობებში ვცხოვრობთ თუ კონსტიტუციური მთავრობის დროს?“ — კითხულობს გაზეთი.

ოსვენციმის საშინელებანი

ბონი, 9 მაისი. საკადესის კორესპონდენტი **ვ. ივანოვი** იუწყება:

გუშინ, მაინის ფრანკფურტის სასამართლოს გუშინდელ ორმოცდამესამე სხდომაზე, რომელიც იხილავს ოსვენციმის ჯალათების საქმეს, გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. სასამართლოში სულ უფრო ხშირად ახსენებენ სს-ელი ექიმ კლერის გვარს. პოლონელი მოწმე ქირურგი ტადეუშ პაჩულა საკონცენტრაციო ბანაკში მწერლად მუშაობდა და, ძირითადად, ამით გადარჩა ცოცხალი. იგი იგონებს, რომ „განსაკუთრებულ დამუშავებაში“, ესე იგი ტუსაღთა განადგურებაში“ მონაწილეობისათვის საკონცენტრაციო ბანაკის ადმინისტრაცია მცველებსა და პერსონალის სხვა წევრებს „პრემიებით“ — არაყითა და სიგარეტებით აჯილდოებდა.

კლერი არაყსა და თამბაქოს „შოულობდა“ პატიმრებისათვის ფენოლის აცრით. ფენოლის უშუალოდ გულში შეშხაპნება უმალვე კვდა ადამიანს. პატიმარს მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაღა შეეძლო მეზობელი ოთახისაკენ, სადაც უკვე ეწყო ათობით გვამი.

პროგრესულმა ძალებმა, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ განხორციელდეს დემოკრატიული გარდაქმნები, ოკუბრუნდეს პასამას პანამის არხის ზონა, პანამამ დაამყაროს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან ჩაურევლობისა და ხალხის თვითგამორკვევის პრინციპების საფუძველზე, პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს რადიკალური მოქმედების პარტიის წარმომადგენელი ნორბერტო ხავარო, რომელიც პასამის მთელი პროგრესული ძალების ფართო მხარდაჭერია, სარგებლობს. ის ერთადერთი კანდიდატია, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ხალხის ძალები, განახორციელოს აგრარული და სხვა რეფორმები და გარდაქმნები.

მმართველი ოლიგარქია ემზადება რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს ხელმძღვანელი პოსტები. სახელმწიფოში. არჩევნების წინ პასამის სახალხო პარტიამ მოუწოდა მოსახლეობის ფართო ფენებს ჩაშალონ ადგილობრივი ოლიგარქიის გეგმები, არჩევნებში ხმა მისცენ კანდიდატ ნორბერტო ხავაროს.

პანამა ირჩევს პრეზიდენტს

პანამა, 9 მაისი. (საკადესი). 10 მაისს პანამაში ეწყობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ეროვნული ასამბლეის დეპუტატთა არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობს 19 პოლიტიკური პარტია.

პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის, რომლებიც ბურჟუაზიულმა პარტიებმა დაასახელეს, ყველაზე ცნობილი არიან ანტონიო მოლინო ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისაგან და არნულფო არიასი — მთელი რიგი მემარჯვენე პოლიტიკური დაჯგუფებებისაგან. ორივე ეს კანდიდატი, ითვალწინებს რა პანამელი ხალხის სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას ამერიკის მძიმალეობისა და ადგილობრივი ბურჟუაზიის თვითნებობისადმი, მოითხოვს სოციალურ გარდაქმნებს.

ტოკიო

ინგლისელები კვიპროსში

ლონდონი, 11 მაისი. (საკადესი). ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებმაც დაამთავრეს კვიპროსში განლაგებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების რიგებში სამსახურის ვადა, ჩხუბი აუტეხეს კვიპროსელ ბერძნებს და სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს. ამის შედეგად ორივე მხარეს ჰყავს დაჭრილები. დაახლოებით ათი ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე სამხედრო ჰოსპიტალში დააწვინეს.

„დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ყველაზე სერიოზული ჩხუბი მოხდა ბაოში, რომელიც ერთ ბერძნეს ეკუთვნის. აქ ჩხუბის დროს გამოიყენეს ბოთლები და ავეჯი. ბევრი დასახიჩრდა, ინგლისის სარდლობა იძულებული გახდა აენაზღაურებინა ზარალი, რაც ათასი გირვანქა სტერლინგით განისაზღვრება.

ინგლისელ ტურისტებს ეკრძალებათ ნორვეგიაში

ოსლო, 11 მაისი. (საკადესი). „აფტენპოსტენი“ იუწყება, რომ ბიერნ სტანიის ექსპედიციამ ძიაღწია ამერიკის პოლარულ სადგურს არლის-2 და ამით ამთავრებს ლაშქრობას. გუნის შემდეგომი გაგრძელება ჩრდილოეთ პოლუსისაკენ, განაცხადა სტანიმ, ახლა დიდად სახიფათოა.

კოლონიზატორთა დანაკარგები

ჯაკარტა, 11 მაისი. (საკადესი). ამას წინათ საბაში მოხდა სერიოზული შეიარაღებული შეტაკება ინგლისის რეგულარულ ჯარებსა და ჩრდილოეთ კალიმანტანის პატრიოტებს შორის, რომლებიც იბრძვიან კოლონიზატორებისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, იუწყება ანტარის საგენტო. სამოცდათორმეტი ინგლისელი ჯარისკაცი მოკლულია, აჯანყებულ პატრიოტთა რაზმი იძულებული იყო დაეზია ჯუნგლებში მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ინგლისის ჯარებმა მიიღეს სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების დახმარება.

კიბოს მსხვერპლნი

დიდ ბრიტანეთში შარშან კიბოთი გარდაიცვალა 102,380 კაცი. მარტო ფილტვების კიბოთი 24.420 კაცი მოკვდა. (საკადესი).

„ლათინური ამერიკის ეკონომიური რუკა“ — ასე უწოდა თავის ნახატს ჩეხოსლოვაკიელმა კარიკატურისტმა ო. დუბეკამ.

ალჟირი

ალჟირ-ბელგიის ურთიერთობა

ალჟირი, 9 მაისი. (საკადესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამმედ ბენ ბელა სახელმწიფო ვიზიტად ჩამოვიდა დღეს ჩეხოსლოვაკიაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის მოწვევით. რუზინის აეროდრომზე ა. ბენ ბელასა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარე იოზეფ ლენარტი და ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელები.

აეროდრომზე წარმოთქმულ სიტყვებში ა. ნოვოტნმ და ა. ბენ ბელამ გამოთქვეს რწმენა, რომ ალჟირელი ხალხის წარმომადგენელთა ვიზიტი ჩეხოსლოვაკიელ სოციალისტურ რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს ამ ორი ქვეყნის კიდევ უფრო დაახლოებას.

ალჟირ-აფრიკის სოლიდარობის ფორუმი

ბაკოში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია. მისი დელეგატები იყვნენ სსრ კავშირის აზიის ნაწილის მოსახლეობის წარომადგენელები, ამ ნაწილის კი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ორი მესამედი უჭირავს. კონფერენციას ესწრებიან აზიისა და აფრიკის 18 ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ა ლ ი ბ ე კ ი.**

საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს** მეთაურობით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები — 1. საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის საქმიანობა და ამოცანები; 2. საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის არჩევნები.

მეუბარე ოვაციით შეხვდნენ ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მისალმებას კონფერენციის მონაწილეებისადმი, რომელიც კონფერენციის გახსნისას წაიკითხეს.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. ა ბ უ ნ დ ო ვ მ ა.**

მოხსენება — საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის საქმიანობა და ამოცანები — გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **მ ი რ ზ ო თ ურ ს უ ნ-ზ ა დ ე.**

მირზო თურსუნ-ზადემ აღნიშნა, რომ აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა ახალ ეტაპში შევიდა. მის წინაშე დგას ამოცანები: დაამთავროს ანტიკოლონიური რევოლუციები, გაშალოს ბრძოლა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, ეკონომიური დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევისა და ხელგობრობისათვის.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს აზიისა და აფრიკის ხალხთა ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პ ო პ ო ვ ა,** აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდაროობის სომხეთის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი **ა. ტ. ვ ა ო თ ა ნ ი ნ ი,** აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს გენერალური მდივნის ზოადგილე **მ ურ ი ი** საად ელ დინი (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა), სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს მოადგილე **ალ ი ბ ე ბ ი ა ნ ი,** ალჟირის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „ალ-ამბარ“-ის მთავარი redaktori **ალ ი ბ ე ბ ი ა ნ ი,** ალჟირის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ტ. ბ ო ლ დ ა ნ ო,** ქალაქ ელისტის (ყაზმუხეთის ასსრ) სკოლის დირექტორი **ლ. ბ ურ ჩ ი ნ ო ვ ა,** რუსეთის სფსრ მეცნიერთა კავშირის მაგადანის საოლქო გაყოფილების მდივანი **პ. პ. ნ ე ფ ე დ ო ვ ი.**

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის საბჭოთა კონფერენციის მეოთხე დღეს დელეგატები და სტუმრები შეიკრიბნენ ზღვისპირა პარკში, რათა ბაკოში ყოფნის სახსოვრად დარგონ ახალგაზრდა ხეები.

მემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა კვლავ განაგრძეს კაძალი მირზო თუოაუაზადეს მოხსენიების გამო. გამოვიდნენ ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორ **ალ ი ბ ე ბ ი ა ნ ი,** ალ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მ. ურ ა ზ ბ ა ე ვ ი,** ალ ბის რესპუბლიკის სპანგეტბო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში **კ ა რ ლ ო ს ო ლ ი ვ ა რ ს ს ნ ნ ი ნ ი,** საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **კ. ა. ჯ უ ს ე ი ნ ო ვ ი,** „ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის“ პარტიის ხელმძღვანელობის წევრი **დ ა ნ ი ე ლ ჩ ი პ ე ნ დ ა,** მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **პროფესორი ვ. მ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე** და კონფერენციის სხვა მონაწილეები.

11 მაისს, კონფერენციის მუშაობის ბოლო დღეს დელეგატებმა მოისმინეს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის კ. ი. ივ ა ნ ო ვ ი ს, ყაზანის პედინსტიტუტის პროფესორის **ო. კ ურ მ ა ე ვ ი ს,** სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს **მ ზ ი ვ ა დ ი ო ნ-პ ი ლ ი ს ო ს** (სამხრეთი აფრიკა) და სხვათა გამოსვლები.

კონფერენციამ მიიღო მრავალი მისალმება.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლებისადმი; მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც იწონებენ საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის საქმიანობას და სახავენ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და ერთობისათვის მოძრაობის კიდევ უფრო განმტკიცების გზებს; უდიდესი აღმავლობით მიღებულია მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

აირჩიეს საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის ახალი შემადგენლობა. კომიტეტის თავმჯდომარედ კომიტეტის სხდომაზე არჩეულია მწერალი მირზო თურსუნ-ზადე.

კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრებას მიეძღვნა ბაკოს მშრომელთა მიტინგი.

ალჟირ-ინდოეთი

ალჟირ-ინდოეთის ურთიერთობა

ალჟირი, 9 მაისი. (საკადესი). ალჟირის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „ალ-ამბარ“-ის redaktori **ალ ი ბ ე ბ ი ა ნ ი,** ალჟირის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ტ. ბ ო ლ დ ა ნ ო,** ქალაქ ელისტის (ყაზმუხეთის ასსრ) სკოლის დირექტორი **ლ. ბ ურ ჩ ი ნ ო ვ ა,** რუსეთის სფსრ მეცნიერთა კავშირის მაგადანის საოლქო გაყოფილების მდივანი **პ. პ. ნ ე ფ ე დ ო ვ ი.**

ინდოეთ-ჩინეთი

ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა

ნიუ-დელი, 9 მაისი. (საკადესი). ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲙᲝᲪᲝᲜᲘ
ᲡᲮᲐᲚᲢᲒᲘᲡ ᲢᲧᲔᲨᲘ

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲜᲘᲗ აუწერელი იყო მისი სიხარული. საბჭოთა კავშირის გმირმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ მ. დოცენტმა დავით ჯაბიძემ სხალტბის ტყეში კვლავ იხილა ადამიანები, რომლებმაც ის ორი ათეული წლის წინათ სიკვდილს გამოსტაცეს ხელიდან, სიცოცხლე დაუბრუნეს...

მან მოგვითხრო დაუვიწყარი ეპიზოდი.

...ჭაბუკმა გათოშილ მიწას მოსწყვიტა თვითმფრინავი და წამსვე ტყეისფერ ღრუბლებში მიიმალა.

დავით ჯაბიძე ზვეიდან დასცქეროდა გმირი ქალაქის ლენინგრადის მისადგომებს.

უცბად ღრუბლებიდან გამოჭრილმა „მესერშმიტებმა“ საბჭოთა მფრინავს გზა გადაუჭრეს. პირველი საჰაერო ბრძოლისთანავე ჯაბიძემ ცეცხლის კვამლში გახვია ორი საჰაერო მეკობრე...

მამაცურად იბრძოდა დ. ჯაბიძე. მაგრამ უცბად სისუსტე იგრძნო, ტუჩები მოკუმა, თვალთ დაუბნელდა, ნიკაპზეც სისხლი გადმოყოლა, თვითმფრინავმა წონასწორობა დაკარგა, ეღრან ტყეში დაეანარცხა...

მფრინავებმა შტაბს აცნობეს, რომ დ. ჯაბიძე მტერთან უთანასწორო ბრძოლაში მამაცურად დაეცა. იქ კი, მტრის ზურგში, ტყეში, მძიმედ დაჭრილი ქართველი შეკრიბეს პარტიზანებმა მოსახეს, სელში აიტაცეს, განკურნეს, კვლავ ფრონტს დაუბრუნეს...

ვერასოდეს ვერ დავიწყებს გმირულ, მძიმე დღეებს დ. ჯაბიძე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ის სიხარულით თვალებგაბრწყინებული მოვიდა პარტიზანთა შეკრებაზე, მცხეთასთან, სხალტბის ტყეში.

ლენინგრადელმა გეოლოგმა, ყოფილმა პარტიზანმა ლეონიდ ხოტინმა ათჯერ მაინც გადაკოცნა ქართველი თანამებრძოლი პარტიზანები, სისხლსა და სიხარულში ნაწრთობი მეგობრები ქრისტეფორე სუხიშვილი, თომა აღლაძე...

ცხრამტი წლის შემდეგ პირველად შეხვდნენ გამარჯვების დღეს, ცხრა მაისს, ისინი მცხეთასთან...

მწვანე ხეივანში, მოზეიმეთა შორის ჩვენ ვნახეთ სამამულო ომის ცოცხალი მემატიანეები, ქართველი ყოფილი პარტიზანები, ისინი, ვინც ასახელა საბჭოთა სამშობლო და მისი იარაღი. მათ შორის იყვნენ დ. ბაქრაძე, ნ. იაშვილი, ვ. რეხვიაშვილი, ბ. გალუსტიანი, მ. სხირტლაძე, თ. ბუცხრიკიძე, დ. იოსელიანი, ა. შულაია, შ. კობიაშვილი, ა. კირვალიძე, დ. თაგაძე, ა. ღოღობერიძე... ვინ ჩამოთვლის მათ.

ქართველი პარტიზანი ვ. ოსიყმოშვილი ცნობილი მეომრის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის დ. მედვედევის შენაერთის ასეულის მეთაური იყო. მუსრს ავლებდა მტერს უკრაინის ტრამალებში, კარპატის მთებში... კაცი-ზღაპარი შეარქვეს მეგობრებმა. ვინ იცის, რამდენი ხიდი, მტრის ეშელონი აუფეთქებია. ამ მოლიმარმა საგარჯოელმა ალალი გულის ჯაცმაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერა სამამულო ომის ისტორიაში. ამჟამად ვ. ოსიყმოშვილი ნატახტრის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია.

...ბაბათს, დღის სრულ ოთხ საათზე სხალტბის ტყის მყუდროება პარტიზანთა „გარნიზონის უფროსის“, სპორტის დამსახურებული ოსტატის დიმიტრი იოსელიანის ბრძანებამ დაარღვია. ყოფილ პარტიზანთა მწკრივმა პარადის სახე მიიღო.

დ. იოსელიანმა საბჭოთა კავშირის გმირს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ყოფილ პარტიზანთა სექციის ბიუროს თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს უპატაკა.

სახელმოხეჭილმა პარტიზანმა დ. ბაქრაძემ თავის მხრივ სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარეს, თადარიგის გენერალ-მაიორს ნ. თავართქილაძეს უპატაკა, ყოფილ პარტიზანთა სადღესასწაულო მზადყოფნა მოახსენა.

მწვანე ხეივანში აღიმართა დროშა, დაინთო პარტიზანული კოცონი...

საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ დამსწრეთ მოუთხრო სამამულო ომის მრისხანე დღეებზე, მოაგონა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ს. კოვპაკის პარტიზანული შენაერთის დაუვიწყარი ბრძოლების ეპიზოდები...

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ჯანჯღავამ თვალწინ გადაშალა კარპატის მთების პეიზაჟები, ბრძოლის ველზე განადგურებულ ჰიტლერელთა ურდოების სურათები.

მცხეთის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ყველა მშრომელთა სახელით დამსწრეთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვების მეცხრამეტე წლისთავი მიულოცა მცხეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმო სამმართველოს უფროსმა, ყოფილმა პარტიზანმა დურმიშხან მაღალაშვილმა.

— განსაკუთრებული სიამოვნებით ვიგონებ, — თქვა დ. მაღალაშვილმა, — საბჭოთა კავშირის გმირთან დავით ბაქრაძესთან პირველი შეხვედრის წუთებს. მტრის ზურგში ვნახეთ ერთმანეთი, გადავეხვიეთ. მუსრს ვავლებდით მტერს.

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა მომძე კუბის წარმომადგენელმა ყოფილმა პარტიზანმა ორსტე ალვარესმა. ის ფიდელთან ერთად იბრძოდა კუბელი ხალხის განთავისუფლებისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე თადარიგის გენერალ-მაიორმა ხ. ალალაძემ, სომეხ ყოფილ პარტიზანთა სახელით ვ. ოვანესიანმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ა. ციბაძემ, სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკმა ნ. ედიშერაშვილმა.

შეკრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

სტუმართა შორის იყვნენ თადარიგის გენერალ-მაიორები ე. კობერიძე, დ. შანშიაშვილი, მ. ნაზარიანი, ი. კოვალენკო, ი. შაიშმელაშვილი... მცხეთისა და დუშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნები ვ. კავთიაშვილი, ა. შადური, პოეტი ხ. ბერულავა, თბილისელი მშრომელები...

მწვანე მოლზე გაიშალა ქართული პურმარილი. თამადად პირველი სასმისით აღიეგრძელა სამამულო ომის ლეგენდარული გმირები.

მალე ცეკვა-თამაშიც გაიმართა. ლაღობდნენ ყოფილი პარტიზანი ვაქაკეციც და მხვნელ-მთესველებიც, სტუმრებიცა და მასპინძლებიც.

დაბინდებისას სხალტბის კრიალა ცა შუშხუნებმა გადასერეს...

გაზაფხულს ზეიმობდა კაციცა და ბუნებაც!

მართლაც დაუვიწყარი იყო ეს სიხარული, ზეიმი გაზაფხულისა. გვიან ღამემდე ისმოდა მრავალჟამიერ. პარტიზანებმა გაიხსენეს ძველი ჩვეულება და მეორე დილით შვიდობის მზის ამოსელას ტყეში შეხვდნენ.

ა. ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,
გ. ᲒᲐᲮᲐᲢᲣᲠᲘᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ - ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲤᲝᲢᲝ Გ. ᲒᲐᲑᲐᲗᲣᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲞᲠᲘᲖᲘ— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ

მძლეოსანთა დიდი ფორუმის მოწმენი იყვნენ გასულ კვირადღეს დედაქალაქის სპორტის მოყვარულები. მოსკოვის იპოდრომზე ფინიში ჰქონდა „პრავდის“ ტრადიციულ კროსს, რომელშაც უძლიერეს საბჭოთა სტაიერებთან ერთად მრავალი საზღვარგარეთელი სპორტსმენი მიიზიდა.

საერთაშორისო კროსში სამივე პრიზი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. მათ საერთო გუნდურ პირველ ადგილთან ერთად გამარჯვება მოიპოვეს ორივე დისტანციაზე პაექრობაში.

ყურადღებას იპყრობდა კროსი 8 კილომეტრზე ვაჟთათვის. უმრავლესობა წარმატებას ოლიმპიურ ჩემპიონს ჰ. ბოლოტნიკოვს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ფინიშთან მოუღლელნელად წინ გაიჭრა სომხეთის მძლეოსანი ა. კოროი და გამარჯვებაც მას ხვდა.

ქალთა შორის ორკილომეტრიან საერთაშორისო კროსში პრიზი მესამეჯერ მოიპოვა მოსკოველმა ვ. მუხანოვამ. უკეთესი დრო — 6 წუთი და 14,8 წამი საკავშირო კროსში აჩვენა ლიტველმა სპორტსმენმა ფ. კარობლენემ.

გუნდური პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა — რსფსრ, უკრაინა, მოსკოვი. საქართველოს გუნდი მე-12 ადგილზე გამოვიდა.

„ᲠᲔᲐᲚᲘ“ — ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲒᲔᲚᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ფინალური მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ მადრიდის „რეალისა“ და ბრნოს „სპარტაკის“ გუნდები. მართალია, ჩეხოსლოვაკიელებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს მეტოქე 110:99, მაგრამ მადრიდში ესპანელებმა რევანში აიღეს 20 ქულის სხვაობით (84:64) და თასის მფლობელი გახდნენ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვიდან სტოკჰოლმში გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 17 კაცის შემადგენლობით. როგორც ცნობილია, ჩვენი ფეხბურთელები სტოკჰოლმში ევროპის თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩს გამართავენ 13 მაისს შვეიცის ნაკრებთან.

გუნდის შემადგენლობაში არიან: მეკარეები **ლ. იაშინი, ი. ბაუეა;** მცველები **ე. მუდრიკი, ა. შუტერნეევი, ა. კორნეევი, ვ. შუსტიკოვი, ვ. გლოტოვი;** ნახევარმცველები — **ვ. ᲙᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ, ვ. ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲘ, ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘ, ი. ᲨᲘᲙᲣᲜᲝᲕᲘ;** თავდასხმელები — **ი. ᲩᲘᲡᲚᲔᲕᲘ, ვ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ, გ. ᲒᲣᲡᲐᲠᲝᲕᲘ, ე. ᲛᲐᲚᲐᲤᲔᲔᲕᲘ, მ. ᲛᲣᲡᲢᲘᲒᲘᲜᲘ, გ. ᲯᲣᲐᲜᲝᲕᲘ, Ო. ᲙᲝᲛᲐᲔᲕᲘ.**

შეხვედრის პირველი ნახევარი, აგრეთვე მეორე ტაიმის 25 წუთი ტრანსლირებული იქნება 21 საათიდან მოსკოვის დროით მეორე პროგრამით, ხოლო დარჩენილი 20 წუთი — პირველი პროგრამით.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

□ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ მუშაობს ქედის რაიონული ბიბლიოთეკა, სადაც სისტემატურად ეწყობა მკითხველთა შეხვედრები, კონფერენციები. ერთ-ერთი მორიგი კონფერენცია მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს. კონფერენციაზე მოხსენება თემაზე: „ქიმიის როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში“ — გააკეთა ნ. დიასამიძემ. მონაწილეთა მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი გასცა მასწავლებელმა ნ. ჩიტაძემ.

Ლ. ᲑᲔᲭᲐᲜᲘᲫᲔ.

□ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიკოოპკავშირმა (თავმჯდომარე გ. მუმლაძე) მოაწყო საგაზაფხულო საცალო ბაზრობა. ბაზრობაზე გამოტანილია ფართო ასორტიმენტის სხვადასხვა საქონელი — ქსოვილები, შეკერილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟის ნაწარმი და სხვა საყოფაცხოვრებო-სამეურნეო საქონელი. ბაზრობა 20 მაისამდე გასტანს.

Ა. ᲑᲐᲠᲫᲘᲜᲐᲫᲔ.

□ ᲧᲘᲖᲚᲐᲠᲘᲡ საზამთრო საძოვრებზე ჩამოვიდა დღეშეთის საერთაშორისო კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც საღამოკონცერტები გამართა დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის და თიანეთის მეცხვარეთათვის.

კონცერტების პროგრამაშია სკეტჩები, ქართული ხალხური და თანამედროვე სიმღერები, ცეკვები.

Ჯ. ᲚᲣᲬᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲡᲐᲘᲐᲗ ᲜᲝᲕᲐᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ

1914 ᲬᲚᲘᲡ 15 მაისს თბილისში საიათ ნოვას ძეგლის გახსნისას ოვანეს თუმანიანისა და იოსებ გრიშაშვილის წინადადებით გადაწყდა ყოველწლიურად — მაისის მეორე კვირა დღეს ვარდებითა და სიმღერებით მივიდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერლის საიათ ნოვას საფლავზე.

გასულ კვირას ასობით თბილისელი მივიდა საიათ ნოვას საფლავზე, რომელიც წითელი ვარდებით შეამკეს. საიათ ნოვას ვარდების დღესასწაული მიმდინარე წელს დაემთხვა პოეტის საფლავზე ძეგლის გახსნის 50 წლისთავს. შესანიშნავი სახალხო მგოსნის ხსოვნის მიტინგზე მოვიდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარემ ბ. სეირანიანმა.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა აღნიშნა, რომ დღითიდღე მტკიცდება ქართველი და სომეხი ხალხების, ამიერკავკასიის ყველა ხალხის მეგობრობა. ამ მეგობრობის დიდი მომღერალი იყო საიათ ნოვა, რომელიც უმღერდა თავისუფლებას, ჰუმანიზმსა და ძმობას სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

პოეტისადმი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული სიტყვა წარმოთქვა სომეხმა მწერალმა ს. აივაზიანმა. ამიერკავკასიის ხალხთა სულიერი სიმდიდრის სიმბოლო უწოდა საიათ ნოვას თავის გამოსვლაში პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა მ. ასლახიანმა და ს. ავჩიანმა. საიათ ნოვასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა გ. გრიგმა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ, აქვე საიათ ნოვას საფლავზე, რომელიც უამრავი ყვავილით შეამკეს, გაიმართა კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საიათ ნოვას სიმღერების საუკეთესო შესრულებისათვის კონკურსის ლაურეატმა თბილისელმა აშუღმა გულახო ზაქარიანმა, მედუდუკეთა ანსამბლმა, აღმოსავლური საკრავი ინსტრუმენტების ორკესტრმა ლ. ტარახანის ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. პაპოვიანმა, ახალგაზრდა მომღერლებმა ა. ამადანიანმა და ა. მიქაელიანმა, თბილისის სომხური სკოლების მოსწავლეებმა. (საქდესი).

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲐᲚᲒᲝᲛᲘ

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ნათელა იანქოშვილი სისტემატურად მონაწილეობს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საკავშირო სამხატვრო გამოფენებზე. მისი ნამუშევრები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევენ და მაღალ შეფასებასაც იმსახურებენ.

ნათელა იანქოშვილი დაჯილდოებულია გარემოს თავისებური აღქმის და მისი ორიგინალურად გამოსახვის უნარით.

ახლახან გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა ალბომი „ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲘᲐᲜᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ“, რომელშიც კარგად არის წარმოდგენილი ამ ნიჭიერი მხატვრის შემოქმედება. ალბომში დაბეჭდილია მხატვრის 93 ფერწერული და გრაფიკული (მათ შორის წიგნის გრაფიკაც) ნამუშევარი.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ᲤᲠᲔ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ კვირადღეს ბაქოში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ კუბინიშვილის „კრილია სოვეტოვისა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ, მაგრამ აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲝᲩᲘ, 11 მაისი. (ტელეფონით სპეც. კორ.). **გუშინ ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეორე ტურში მსოფლიოს ჩემპიონ გაფრინდაშვილს შავებით პაექრობა ჰქონდა რუმინეთის ჩემპიონ თეოდორესკუსთან. ბრძოლა შეუპყარი აღმოჩნდა. მდგომარეობის გამარტივების შემდეგ გაფრინდაშვილმა მოახერხა ინიციატივის ხელში ჩაგდება და პაიკი მოიგო. გადადებულ პოზიციაში მსოფლიოს ჩემპიონი მოგების კარგ შანსებს ინარჩუნებს.**

დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირის უყველაზე ახალგაზრდა მონაწილის ალექსანდრიასა და სსრ კავშირის ჩემპიონ რანიკუს ორთაბრძოლამ. დებიუტიდან ალექსანდრიას კარგი პოზიცია ჰქონდა და პაიკიც მოიგო, მაგრამ შემდეგ რანიკუმ შეძლო კონტრთამაშის მოლება. ეს პარტიაც გადაიდო. მართალია, სსრ კავშირის ჩემპიონს 2 პაიკი აკლია, მაგრამ მოსალოდნელია მწვავე ბრძოლა. გადაიდო აგრეთვე ჩაიკოვსკაია-ბიკოვას პარტია, რომელიც ხასიათდებოდა ორმხრივი უხეში შეცდომებით. ჩაიკოვსკაია ყაიმის შანსებს ინარჩუნებს.

სამ შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ესენია ბელავენეც-ნედელკოვიჩის ახენოვა-კლერ-გერმანისა და კარაკაშნე-ბუცხრიკიძის პარტიები.

დღეს - შედგა მესამე ტური.

გაფრინდაშვილმა წარმატებით ჩაატარა პარტია კარაკაშნესთან და 34-ე სვლაზე გაიმარჯვა. რანიკუმ მოუგო ბელავენეცს, ჩაიკოვსკაიამ — კელერ-გერმანს, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ ლიდერია ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელსაც 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

Ბ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘ დღის შესვენების შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა კოლექტივები კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში.

მორიგ ტურში ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების — მოსკოვის „დინამოსა“ და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდების პაექრობა. ჩემპიონებმა — დედაქალაქის დინამოელებმა მეორე დამარცხება განიცადეს ანგარიშით 2:3. მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ წყალბურთელთა შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 3:1.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“ ანგარიშით 2 : 0. მოსკოვის „დინამომ“ მესამე დამარცხება განიცადა, ამჯერად კკფ-ს გუნდთან.

ლიდერია კვსკ-ს გუნდი. მოსკოვისა და თბილისის დინამოელები მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲑᲠᲔᲚ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში ტურნეს მართავენ უნგრელ ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები. ამ დღეებში უნგრელი სპორტსმენები თბილისს ეწვევნენ და გასულ კვირადღეს სპორტის სასახლეში პირველი პაექრობა ჰქონდათ საქართველოს გუნდებთან.

ქალთა გუნდების შეჯიბრება ხასიათდებოდა მწვავე ბრძოლით და დამთავრდა სტუმართა სასარგებლოდ ანგარიშით 3:2. ასევე მძაფრი და შეუპოვარი აღმოჩნდა ვაჟთა გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 3 : 2.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

ქალთა გუნდებს შორის გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელებმა 3 : 2, ვაჟთა გუნდებს შორის — სტუმრებმა 3 : 0.

ᲒᲐᲛᲭᲠᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲙᲐᲠᲘ ბერძნულად „ბაღებს“ ნიშნავს. ორი ათასზე მეტი წლის წინათ ქალაქი ჰყვაოდა ტამანის ნახევარკუნძულზე შავსა და აზოვის ზღვებს შუა ადგილზე. ერთ-ერთი ადრინდელი ბერძნული იონიში. იგი დააარსეს მილეთიდან გადმოსახლებულმა ორი ათას ხუთას წელზე მეტი ხნის წინათ. ქალაქის მოსახლეობა მისდევდა სოფლის მეურნეობას: მევენახეობას, მემინდვრეობას, მეთევზეობას, აყვავებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა. აქ უყვარდათ მხატვრული ნაწარმოებნი და ესმოდათ მათი სილამაზე. მტრებისგან, განსაკუთრებით ჰუნების, თავდასხმებმა ქალაქი ნანგრევებად აქცია.

არქეოლოგიის ინსტიტუტის ტამანის ექსპედიცია ამ რაიონის სისტემატურ გამოკვლევას 1957 წელს შეუდგა. ორი წლის შემდეგ მას შეუერთდნენ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგები ნინო სოროკინას მეთაურობით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, სარატოვისა და სხვა ქალაქების სტუდენტები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების სესიაზე, რომელიც არქეოლოგიურ სამუშაოებს მიეძღვნა, ტამანის ექსპედიციის უფროსმა ნიკოლოზ სოკოლსკიმ გააკეთა მოხსენება ნახევარკუნძულის გამოკვლევის ახალი შედეგების შესახებ და, კერძოდ, ქალაქ კეპის გათხრების შესახებ.

• • •

ქალაქი კეპი მდებარეობდა ორ პლატოზე და ეჭირა 20-25 ჰექტარი ფართობი. ქვედა პლატო დანგრეულია უბის ტალღებით. ზედა პლატოდან ქვედასაკენ მიმავალი ფერდოს ქვეშ ამოღებული ყოფილა ჭები, რომელთაგან ერთ-ერთის უკვე გათხარეს არქეოლოგებმა.

კეპელებს მცირე აზიიდან და საბერძნეთიდან შეექმნედათ ლამაზი ნახატებით შემკული ტერაკოტის მშვენიერი ნაკეთობანი, სამსხვერპლე ლანგრები და ჭურჭელი. ამ ნაკეთობათა მრავალი ნამსხვრევი მოფაფუტლია საცხოვრებელ სახლებში, ტაძრებსა და საფლავებში. პანტიკაპეიდან (ამჟამად ქერჩი) აქ შეექმნედათ კრამიტი, საშენი ქვა, მონეტები და სხვა საქონელი. კეპის მცხოვრებლები თვითონ არა სჭრიდნენ ფულს, და ნიეროდ გადარჩენილა საუკეთესოთაგან ერთ-ერთი — მცირე, ნახევარ მეტრამდე სიმაღლის, მარმარილოს ქანდაკება აფროდიტესი, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთისა. და თუმცა იგი გაყვითლებულია, მაგრამ ისეთივე მშვენიერი დარჩენილა. მცოდნეთა აზრით, ეს ნაპოვნი ეკუთვნის ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის ელინური სკულპტურის საუკეთესო ნიმუშებს და ხელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის მხატვრული ტრადიციების მიხედვით ქალღმერთის გამოსახულების ინვიათ ვარიანტს წარმოადგენს.

ქანდაკება ადასტურებს, რომ აფროდიტეს კულტი მთავარი იყო კეპში. იმ ადგილიდან ცოტა დაშორებით, სადაც აფროდიტე იპოვნეს, აღმოჩენილ იქნა ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის პირველი ნახევრის სხვა ქანდაკების კვარცხლბეკის ნაწილი, რომელზეც აფროდიტესადმი მიძღვნილი წარწერაა მეფე სპარტოკისა, პერისადეს შვილისა. ამავე დროს ერთ-ერთ საფლავში აღმოჩენილ იქნა თავი დიდი ქანდაკებისა, რომლის სტილი პერგამელ სკოლაზე მიგვანიშნებს.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, როცა მტრები თავს დაესხნენ ქალაქს, ძლიერ დაანგრიეს და გადაწვეს იგი, დაღუპულა აფროდიტეს მდიდარი ტაძარიც. გაძარცულ და დამსხვრეულ იქნა მარმარილოს ქანდაკებანი, ძვირფასი ჭურჭელი, რომლითაც შემკული იყო ტაძარი, და სხვა საგნები. სასწაულით გადარჩენილა მხოლოდ მშვენიერი ქანდაკება. მაგრამ რბევის დროს მისი თავიც დაკარგულა.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ შემდეგ ქალაქში ორას წელიწადზე მეტ ხანს სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა. მისი საზღვრები გაფართოვდა. აგებულ იქნა ახალი თუნები, სახელოსნოები. ამას მოწმობს ნაპოვნი მრავალი სამშენებლო, არქიტექტურული დეტალი, მარმარილოს ფილების ნამსხვრევები. აღმოჩენილია დეკორატების გასაკრავი მარმარილოს პოსტამენტი ბოსპორის მეფის ნიშნით.

ვაჭრობა ახლა ძირითადად წარმოებდა შავი ზღვის სამხრეთის ცენტრებთან და მცირე აზიის ქალაქებთან, სირიასთან და ეგვიპტესთან, საიდანაც მოჰქონდათ შუშის ჭურჭელი და ქალის შუშის სამკაულები.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში კეპს კვლავ დაემუქრა ომის საფრთხე. აგებულ იქნა დიდი მიწაყრილი. მაგრამ მან, როგორც ჩანს, ვერ იხსნა ქალაქი — პირველი და მეორე საუკუნეების ზღვარზე აღმოჩენილია ნახანძრალები.

ქალაქი დანგრეულ იქნა ათას ხუთასი წლის წინათ — ალბათ ჰუნების თავდასხმის შემდეგ. ერთ-ერთი სახლის ნანგრევებს ქვეშ აღმოჩენილ იქნა მოკლული მამაკაცის ჩონჩხი და განძი, რომელშიც გვიანანტიკური შვიდას ორმოცდაათი მონეტაა. ერთ-ერთი მონეტა 332 წლით არის დათარიღებული. უფრო გვიანდელი მონეტები არ აღმოჩნდა.

ასე დაიღუპა კეპი. აქ დიდხანს უკაცრიელი ადგილი იყო. მხოლოდ ხუთი საუკუნის შემდეგ აბიბინდა ჯეჯილი, გამოჩნდა პატარა სოფელი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲐ ᲙᲐᲘᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓ ᲑᲐᲠᲓᲐᲫᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲯᲕᲐᲠᲖᲔᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲯᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წალენჯიხის რაიონის სოფელი ჯვარზენი გაუქმდა სოფელ ჯვართან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

ჯვარის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯვარი გარდაიქმნა დაბად, ხოლო ჯვარის სასოფლო საბჭო — ჯვარის სადაბო საბჭოდ.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

28 მაისს დღის 12 საათზე № 93 ა